

№ 107 (10 026)
6 ივნისი,
სამშაბათი,
1989 წ.

საპარტვილო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО - ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ


გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან • ღირსი 8 კაპ.

კატბურთი „დინამოს“ სტადიონზე



ეს მართლაც მოვლენა იყო! ჩვენთვის შედარებით სპორტის ახალი სახეობის — კატბურთის ნამდვილმა ოატატებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან საჩვენებელი პაერთაშორისო ამხანაგური შეზღიდრა გამართეს ქართველ კატბურთელებთან. ვაშინგტონის შტატის გონზამის უნივერსიტეტის გუნდი „ბულდოგზი“, საკმაოდ ცნობილია თავის ქვეყანაში. ამერიკელთა მეტოქე ამჯერად თბილისის „ვიგორია“ იყო. შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა — 13:4.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



მთავარი თემა

ახალგაზრდული
საკავშირო
სპორტული
თამაშები

პითარება
პოპულარულად
შეიხველა

ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებში სხვებზე უწინ სპორტის კიდევ ერთი სახეობის წარმომადგენლები — წყალბურთელები ჩაეხვენ. მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, რამაც საქართველოს წარგზავნილები მძიმე სიტუაციაში ჩააგდო. იმის გამო, რომ ზოგიერთმა რესპუბლიკამ შეჯიბრებაზე გუნდები არ გააგზავნა, მათ შორის ესტონეთმა და ლატვიამ. ნაცვლად ითხი ქვეყნებისა შედგა ორი ქვეყნისა: ჩვენი წყალბურთელები ყაზახეთის, მოსკოვის, სომხეთის, ლენინგრადისა და ბელორუსიის გუნდებთან ერთად მოხვდნენ ერთ ქვეყნულში. საქმე ისაა, რომ აღნიშნული ფორმულით საქართველოს ნაკრებს რეალური შესაძლებლობა ჰქონდა გასპარეზა ფინალურ ოთხეულში, რომელსაც თავიანთ ქვეყნულში გამარჯვებულნი შექმნიდნენ. საქართველოს ნაკრებს დაგეგმილი ჰქონდა საპრიზო ადგილებზე გასვლა. პირველ ტურში ყაზახეთის ძლიერ კოლექტივთან ჩვენი რესპუბლიკის გუნდი დამარცხდა — 0:7. იმავე ტურში მოსკოველებმა მოუგეს ბელორუსიის ნაკრებს — 9:6, ლენინგრადელებმა კი სომხეთის გუნდს აჯობეს — 12:4. მეორე ტურში ასევე ძლიერ მოსკოვის ნაკრებთან საქართველოს წარგზავნილებმა ფრედ — 8:8 ითამაშეს.

მეორე ქვეყნულში. I ტური. რსფსრ — ლიტვა 9:7, უკრაინა — აზერბაიჯანი 10:2, მოლდავეთი — ტაჯიკეთი 8:6.

საკავშირო ზონალურ ჩემპიონატზე სამით მეტი

ჩვენთვის თავისუფალი სტილის მოჭიდევებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო ზონალურ ჩემპიონატს, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ფრუნზეში: სწორედ ამ შეჯიბრებაზე ნაწილდებოდა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზურები (იგი 13-18 ივნისს ჩატარდება მახაჩკალაში). აქვე უნდა ითქვას, რომ ფინალში აღრე დაუშვეს ის მოჭიდევები, რომლებმაც ქვეყნის მარშან-

დელ ჩემპიონატზე, კრასნოიარსკში, I-V ადგილები დაიკავეს. ზონალურ პირველობაზე საქართველოს ფალაგნები ურიგოდ არ გამოსულან — თერთმეტმა სპორტმენმა მოიპოვა ფინალის საგზური. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ლევან ებანოიძემ, რომელმაც მძიმე წონაში პირველი ადგილი დაიკავა. გასული საკავშირო ჩემპიონატისა და ფრუნზეში ჩატარებული ტურ-

ნირის მიხედვით საბოლოოდ დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელიც გაემგზავრება მახაჩკალაში. სხვათა შორის, მძიმე წონის კატეგორიაში ჩვენი გუნდის ზუთი მოჭიდევი იასპარეზებს, რაც პირველად ხდება. სულ კი ჩემპიონატში საქართველოდან 21 მოჭიდევი გამოვა, რომელთაც შეიძლება დაემატოთ ე. მუსოიანი. სამწუხაროდ, 68 კგ წონით კატეგორიაში მონაწილე არ გვეყოლება. აქვე ვიტყვი, რომ 1988 წლის ჩემპიონატში ჩვენი რესპუბლიკის 18 ფალაგანი მონაწილეობდა, ამჯერად კი, როგორც ხედავთ, — სამით მეტი იასპარეზებს.
ზია გურდული.

მატჩები გადაიდო

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩები უმადლესი და I ლიგის გუნდების მონაწილეობით, რომლებიც 5 ივნისს უნდა გამართულიყო, გადატანილია 6 ივნისისთვის.

ინფორმაცია

კაუნასი. „უალვირისის“ კალათბურთელთა მწვრთნელმა ვ. გარასტასმა ვადაწყვიტა იმუშაოს მხოლოდ ქვეყნის ნაკრებთან, სადაც ის მთავარ მწვრთნელადაა არჩეული.

„უალვირისის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე გამოცხადდა კონკურსი.

პარიზი. საფრანგეთის ლიი ჩემპიონატში არგენტინელმა ჩოგბურთელმა გაბრიელა საბატინიმ მარცხი განიცადა 17 წლის ამერიკელ მ. ფერნანდესთან — 4:6, 4:6.

ვაკთა ტურნირის მერვედფინალში ბორის ბეკერმა (გფრ) ძნელად (3:6, 6:4, 6:2, 4:6, 7:5) მოუგო არგენტინელ გოლფრმო პერესს. როლდანომა.

პარუქოთ გავხვავს სიტოო

უდღამაო პავშეთა ხახლი! დიას, სამწუხაროდ ასეთები საქართველოშიც არის. ერთი მათგანია სურამის სახლი, რომლის აღსაზრდელებს ამ დღეებში ეწვივნენ შეფები — თბი-

ლისის ფიზკულტურის ტექნიკუმის წარმომადგენლები. სტუმრებმა ბავშვებს ჩაუტანეს სპორტული ფორმები და ინვენტარი, აგრეთვე ქიმისა და ფიზიკის სასწავლო ხელ-

საწყობები — სულ 3500 მანეთის საქირი ნივთები. ეს ცნობა რედაქციის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილემ გ. ცუხიშვილმა მოაწოდა.



„გვხილვოვის ვისიით“

21.952 კილომეტრი უნდა გაიარონ ავტოგადარბენის მონაწილეებმა, რომლებიც 19 მარტს გამო-

ვიდნენ პეკინიდან. იხინი ვარაუდობენ, რომ ასი დღის შემდეგ, 27 ივნისს პარიზში დაასრულებენ

გადარბენას. სურათებზე თქვენ ხედავთ ავტოგადარბენა „პეკინი-პარიზის“ ემბლემას: გადარბენას მონაწილეები ბათუმის ქუჩებში; 1987 წელს გამოშვებული „იტალას“ ფირმის ავტომობილის ეკიპაჟი.

გეოგრაფიული წარმართვა

იქნება კიდევ
დაავადოთ
გაპატივდება

პატივცემულო რედაქციო, შარშან უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის ჩატარდა ჩათვლები ფიზიკულურაში. თქვენი გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა გაკვეთილები, რამაც ხელ შეუწყო აბიტურიენტებს და დაეხმარა მათ. იქნებ წესსაც მოახერხოთ და დაგვეხმარეთ?

წინასწარ ვიხდით მადლობას.
გორალი აბიტურიენტი.

ჩვენი პასუხი: გისულ წელს ფიზიკულურაში ჩათვლების შემდეგ სიხალე იყო, თანაც დიდი დრო არ რჩებოდა მოსამზადებლად და რედაქციამ გადაწყვიტა დახმარებოდა აბიტურიენტებს. წელს ამის საჭიროების აუცილებლობა, ჩვენი აზრით, არ არის, რადგან ნორმატივები დროულად გამოქვეყნდა. კონსულტაციების მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ იმ უმაღლესი სასწავლებლის ფიზიკური აღზრდის კათედრას, სადაც მისაღები გამოცდები უნდა ჩააბაროთ.

გადმოსაცემად
თუ არა
გაპლიანის ნუსხა?

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ტიანშანში გამარჯვების პიკეტაგრაფიულად დაილუპნენ ქართველი მთამსვლელები ჯუმბერ მეტარაიშვილი, თემურაზ კუხიანიძე და ილიკო გაბლიანი. მოხდა ისე, რომ გაბლიანის ნუსხი ამჟამად იქ განისვენებს.
საინტერესოა, შეუძლიათ თუ არა ახლანდელ ქართველ ალპინისტებს გაბლიანის ნუსხის ჩამოსაქნება, ეს რომ ეროვნული საქმეა. რას ფიქრობს ამის თაობაზე საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბი?

ვალერი ღვინია,
ქ. ზუგდიდი.

**„ხელმოწერილი ვარ,
გეოგრაფიული
ვარ გავხდი“**

1939 წლიდან ვარ თქვენი გაზეთის ხელმძღვრელი, გეოგრაფიული ვარ და ვერ გავხდი. საქმე იმაზეა, რომ „ლელო“ დღემდე არ ვეღებულა. რაშია საქმე?
ძალიან გთხოვთ, გაარკვიოთ ვინაა დამნაშავე. ამასთან, კატეგორიულად მოვიითხოვ, დამბრუნონ გაზეთის იმ ნომრების საფასური, რომლებიც არ მიმიღია.
ჩემი მისამართი: 352310, კრასნოდარის მხარე, უსტაბანსკის რაიონი, დვუბრატსკი, კირიჩინაის 3, ბინა № 6, ელზა არქიპოვის ასული ლომიძე.

რედაქციისგან: კიდევ ერთხელ შევახსენებთ ჩვენს მკითხველებს და ხელმძღვრებს, რომ რედაქცია გაზეთის ხელმძღვრელებისთვის დაგზავნა პასუხი არ აგებს. ეს „სოლიუზნატივი“ საქმეა. რას გეპასუხებს პრესის ავტორების რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელი?
ველით პასუხს ჩვენც და ხელმძღვრეც.

სახელიც დაავადნებას

მედი ვერის უბნის ბალი თბილისელთა და განაკუთრებით ამ უბნის მცხოვრებთა თავშესაფრის, თავის შექცევისა და დასვენების შესანიშნავი ადგილი იყო, არის, და, ცხადია, იქნება მომავალშიც. მოგონებებში, აქ რეკონსტრუქციის შემდეგ მწყობარში ჩადა მშენებელი აკაკიათბურთო დარბაზი, ამავე ბალის ტერიტორიაზე ქაღალის სასახლე, სადაც არაერთი საინტერესო „საქადრავო დუელი“ გაიმართლდა.

ახლა იმის შესახებ, რამ გადაწყვიტა ამ წერილის დაწერა. არავინ იფიქროს, ამ წერილით ვინ-

მეს ვამცირებდნენ, უბრალოდ, შევახსენებთ იმას, რომ თავის დროზე ვერის ბაღს რატომღაც „კიროვის პარკი“ უწოდეს. არადა, ჩვენს ქალაქში კიროვის სახელობის რაიონი, კიროვის სახელობის ქუჩაც და კიროვის სახელობის გვერდითა თელი ჩარხაშენებელი ქარხანაც. ანუ პარკისთვის კი, მე ძველი იშვიათად თუ რჩება ვინმეს. მე არ ვამბობ, კიროვის რაიონს, ან ქარხანას შევეუცვალთ სახელი. ამჟამად მხოლოდ ამ პარკს ბაღზე მსურს გესაუბროთ და გთავაზობთ ასეთ წინადადებას: თუ საზოგადოებრივად თანახმა იქნება, ამ ბაღს ისევ ძველი სახელი აღედევინოთ — ვერის ბაღი ვუწოდოთ, ანდა ჩემი აზრით, ფრიალ რაიონის ლური სახელი „დედოფლის ბაღი“ დავარქვათ. თუ შემდგომში ამ ბაღს სათანადო რეკონსტრუქციაც ჩატარდება და ნამდვილ ბაღნარდ მიქცევა, ჩვენს ქალაქს მისი სილამაზეც დაამშვენებს და მისი სახელიც.

თანავი თოვანი,
საქართველოს კულტურის დამახორბელი მუშაკი, პოლიგრაფი.

სკონსორი თუ...

ამ ბოლო დროს სიტყვა „სკონსორი“ ხშირად გვხვდება პრესის ფურცლებზე, მათ შორის „ლელოში“. ვერ მიეჩნია ამ სიტყვას თვით, ყური და გრძობა. მიმაჩნია — აუცილებლად უნდა მოეძებნოს სკონსორის შესატყვისი ქართული სიტყვა.

ნუგზარ ზამონია,
თბილისი.

რატომ ივიწყებენ

წყალპურის?
პარტული სპორტის კეთილდღეობაზე ფიქრმა და სიყვარულმა ხელში კლამი აძლევს.
ამ წერილში ძალზე მოკლე შევყვები ჩემთვის საყვარელ სახეობას — წყალპურს.

მრავალი წელია, რაც წყალპურთელთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებს თვალყურს ვადევნებ და ერთმა მნიშვნელოვანმა მომენტმა ჩემი ყურადღება მიიპყრო.
ამ შეჯიბრებებში, ჩვეულებრივ, მონაწილეობენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის უნივერსიტეტის (ორი გუნდი), ბათუმის, სოხუმის და რუსეთის წყალპურთელები, აგრეთვე ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების წარმომადგენლები, რაც თავისთავად მისასალმებელია.
სამწუხაროდ, ამ „სპარეზობებში“ ვერ ვხედავთ სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და სპორტული კლუბების წყალპურთელთა გუნდებს. სამწუხაროდ, სპორტის ამ სახეობას ჯერ კიდევ არ ეთმობა ბევრგან ჯეროვანი ყურადღება.

რ. კანდელაკი.

სად ვივითვით

ინჟინტარი?

ბათუმის ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი ბავშვების უსაყვარლესი ადგილია. მრავალ ღონისძიებათა შორის აქ დიდი ყურადღება ექცევა სპორტული ღონისძიებების ჩატარებას. პარტის საქალაქო კომიტეტის თაოსნობით ფინანსთა და განათლების სამინისტროებმა ავერსენეს ქაღალაი სახლი. მოჭადრაკეთა კლუბ „ციკინათელაში“ ასამდენი რაიონი მოჭადრაკე შემოუხდა საქადრაკო დაფებს; უკვე საამაყოც გვაქვს — ნორჩმა დინა დარჩია (მწვრთნელი გ. ქანტარია) 12 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში გაიმარჯვა.
წელს ტბაში ჩავეშვებთ 12 ცალ ახალი წყლის ველოსიპედს, 15 ნაგს. შევმა ორგანიზაციებმა ავერსენეს მაგიდის ჩოგბურთის მოედანი, სადაც 10 მაგიდა დაიდო, მაგრამ სასწავლოდ, „პინგ-პონგის“ ინჟინტარი არა გვაქვს და არც არსად იშოვნება. არადა, ზღვების სეზონი კარსა მომდგარი.

ჩვენს გოგონას,
ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის დირექტორი.

რაც დავითისა

რაც იმედით მივხვდებით საქართველო ახალგაზრდა მთავრებს

ახალგაზრდული საქვეყნო სპორტული თამაშების პროგრამით გათვლილი მოცურავეთა შეჯიბრებამდე დიდი დრო აღარ დარჩა. ამდენად, თბილისში ვაკის სპორტული აუზში გამართული მოცურავეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, საქვეყნო ახალგაზრდა მოცურავეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, უკანასკნელ გენერალურ რეპეტიციად მოგვევლინა. ჩვენს „მინურულ“ ჩემპიონატს უნდა ერვენებინა ისიც, თუ როგორაა მომზადებული საქართველოს მოცურავეთა ნაკრები, რას უნდა ველოდოთ მისგან.

სამწუხაროდ, ასპარეზობამ იმედო არაფერი, ან თითქმის არაფერი გვიჩვენა. კვლავინდებურად თითო-ორი მოცურავე იმედო უნდა ვიყოთ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ სპორტმენები პირად რეკორდებს გაუმჯობესებენ.

მოცურავეთა სრულყოფილ გუნდში 40-მდე სპორტმენი უნდა იყოს. ასეთი მრავალრიცხოვანი ნაკრებით ჩვენ (და მრავალ სხვასაც) საქვეყნო სარბიულზე არაფერი გვესაქმება. აბა, რა აზრი აქვს ასპარეზობაზე ისეთი სპორტმენების წაყვანას, რომლებიც გუნდა ქულისავე ვერ მოუტანენ. ამიტომ სსრ კავშირის ცურვის ფედერაციის გადაწყვეტილებით საქვეყნო ასპარეზობებზე ამა თუ იმ გუნდის წევრთა სიმრავლეს სიმდიერის მიხედვით ადგენენ. ამის გათვალისწინებით საქართველოს ნაკრები განაგებულა, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკას, როგორც საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ გამოირჩევა, ასეთი განაგებულ გუნდის დაკომპლექტებაც არ ძალუძს.

საქმე ისაა, რომ ახალგაზრდულ საქვეყნო სპორტულ თამაშებზე მხოლოდ სპორტის ოსტატები და იშვიათად, ამასთან, მოცურავე ჩათვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ იგი თავის ოსტატობას დამტკიცებს. საქართველოს ჩემპიონატში მხოლოდ 14 ოსტატი გამოვიდა. საბედნიეროდ, მათი რაოდენობა ერთით გაიზარდა. საბედნიეროდ ვამბობთ, თორემ 15 სპორტის ოსტატი რომ დიდი შედგაი არ არის, ამას გაუთვითცნობიერებელი მკითხველიც მიხვდება.

შესაძლოა დონეცკში, სადაც მოცურავეები იასპარეზებენ, ჩვენი ნაკრები 15 სპორტმენი შემადგენლობითაც ვერ გაემგზავროს, რა-

ცის ყველაფერი გუნდის ხელმძღვანელსა და დიდ თავსატეხს უჩენს, მოთმეტეს, რომ ახლა, საქართველოს ჩემპიონატში, სპორტის ოსტატის შედეგი მხოლოდ... ითხმა მოცურავემ აჩვენა, რაც, დაგვეთანხმებით, მეტად დამაფიქრებელია. ამასთან, იმ ოთხს ერთი მოცურავე უნდა გამოეყოლოთ, თუმცა ამაზე ქვემოთ...

მაგრამ დამაფიქრებელი მხოლოდ ეს როდია, ჩვენმა მოცურავეებმა, თხოვნით, სპორტის ოსტატის შედეგებზე რომ აჩვენონ, ჩათვლას, დღევანდელი ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით, მხოლოდ ნახევარი თუ მიიღებენ.

ლიან, მოცურავე გუნდს რომ რაიმე არგოს, სპორტის ოსტატის შედეგის ჩვენება საქმარისი არაა. საქართველო 16 უძლიერეს შორის დამკვიდრება.

საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მწვრთნელმა ხელთა აქვთ სხვა გუნდების წარმომადგენელთა ბოლოდროინდელი მაჩვენებლები. თუ ამ მაჩვენებლებს საქართველოს ჩემპიონატის შედეგებს შევადარებთ, ჩვენი ტონიც უფრო მინორული გახდება.

რა თქმა უნდა, იმედი გვაქვს, რომ ახალგაზრდული სპორტული თამაშებზე საქართველოს წარმომადგენლები თავიანთი სპორტული ფორმის ზენიტში იქნებიან, მაგრამ ჩვენი მეტოქეები ხომ გულზედაკრფილები არ სხედან? ისინიც მონდომებით ვარჯიშობენ და როგორც იტყვიან, კომპეტრს კოლომეტრზე აქცევენ.

ასე რომ, ძნელი სავარაუდოა, ჩვენ მოცურავეთა და მათ მეტოქეთა შორის არსებული დღევანდელი ძალთა თანაფარდობა სამიოდე კვირის შემდეგ დაირღვას.

ქმისადმი უსულგულო დამოკიდებულება, გაუთავებელი ექსპერიმენტები... თუმცა, ყოველი ამის შესახებ ჩვენ არაერთი სტატია გამოვაქვეყნეთ, მაგრამ, ხომ გავგონივით, „მეაყარე კედელს ცერცვი“.



იანა ბიკოვა

ნაკრებში არა გვყავს 1971-72 წლებში დაბადებული მოცურავეები და ამიტომ გუნდი დაკომპლექტებულია უმცროსი ასაკის სპორტმენებით, რომლებსაც დონეცკში ბრძოლა უფროსებით მოუწევთ. 1971-72 წლებში დაბადებულნი ცურვის ანბანს ძირითადად წარმოადგენს ათორმეტი წლის წინათ სწავლობდნენ, ჩვენთან კი მათი ყურადღების მიქცევა ყველას „დავიწყდა“.

ერთი სიტყვით, რაც მათს დავეთხებთ, დღეს იმას ვიკვირ. ახლა იმათ შიგნით, ვინც შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა. ესენი არიან: თბილისელები იანა ბიკოვა, დინა სვინიჩენკო, ნანა მუსიევა და იგორ არტიომოვი. იანამ 50 მეტრზე ბრძოლის სტილით ცურვაში 16 წლამდე ასაკის მოცურავეთა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა, ხოლო ორჯერ გრძელ დისტანციაზე სპორტის ოსტატის შედეგით მეორე ადგილი დაიკავა. აქ უძლიერესი სახელი მოიპოვა სვინიჩენკო, რომელმაც, რაღა თქმა უნდა, სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა.

ეს გოგონა ის უიშვიათესი მოცურავეა, რომელიც წლებს ამ ნორმატივის სტაბილურად აჩვენებს. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოსტატის შედეგით გაიმარჯვა იგორ არტიომოვი, ხოლო ამავე სახეობაში 100-მეტრიან დისტანციაზე ეს ნორმატივი პირველად შეასრულა ნანა მუსიევა.

სამწუხაროდ, ამ მოცურავეთაგან არტომოვი ახალგაზრდულ თამაშებზე ვერ გამოვიდა. იგი ერთი წლით უფროსია იმათზე, ვინც დონეცკში უნდა იასპარეოს.

(ტექნიკური შედეგები ცალკე გამოქვეყნდება).

ავთანდილ გუბასაშვილი.



დინა სვინიჩენკო

დგან ახლა გუნდის ერთ-ორი წევრი ავადმყოფობს. იმედი, დონეცკის სტარტებამდე ისინი გამოჯანმრთელდებიან და ვარჯიშსაც არაუღიარებენ. მაგრამ იქ რომ დღევანდელი გაუწყრეთ და პირველი თანრიგის შედეგები ვეღარ აჩვენონ, ახალი წესების მიხედვით, საქარბიო ქულებს მიიღებენ.

აი, ასეთი მდგომარეობაა ჩვენს გუნდში.
მიზეზები? მოკლე თუ ვიტყვი, მწვრთნელთა და ხელმძღვანელთა უნითო მუშაობა! ვრცლად? ამაზე მართლაც ვრცლად შეიძლება საუბარი, საკითხები ოდითგანვე ცნობილია: შეუფერებლად მომუშავე აუზების სიმცირე, კვალიფიციური მწვრთნელთა ნაკლებობა, ა-

„მერანი“ № 12

გამოვიდა „ლელოს“ საქადრაკო დამატება „მერანის“ მე-12 ნომერი. დამატება იხსნება მოსკოვში გამართული მოჭადრაკე ვაჭთა მსოფლიო თასის მეორე გათამაშების შესარჩევი ტურნირის ინფორმაციით. „მერანის“ სპეციალური კორესპონდენტი ვალერი ლევიტინი ქაღალკის მოყვარულთა სთავაზობს ამ შეჯიბრების ფოტორეპორტაჟს, ხოლო ტურნირის შესახებ ვრცელ მასალას მკითხველი „მერანის“ შემდეგ ნომერში გაცნობა.

ამ შეჯიბრების შესახებ.
ბობი ფიშერი თუმცა კარგა ხანია ჩამოშორდა საქადრაკო სამყაროს, მაგრამ მისი სახელი არ სცილდება ამა თუ იმ გამოცემის ფურცლებს. აა, ახლაც „მეზო პლანეტის“ დამატება ვლადიმერ პროსვიანკოვის ინტერვიუ ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორთან ფრენკ ბრედისთან. ფ. ბრედი ავტორია წიგნისა „ბობი ფიშერი, ჯადოქარი პროფილი“ და, ამდენად, მისი ნაამბობი გენიოსის მოჭადრაკეზე უდავოდ დაინტერესებს ქაღალკის მოყვარულთა. „მერანის“ ამ ნომერში უნივერსიტეტის შემეცნებით იბეჭდება ეს ინტერვიუ.
მკითხველი გაცნობა, აგრეთვე, საქართველოს საქადრაკო კომპოზიტორების ახალ ნამუშევრებსა და სხვა საინტერესო მასალებს.

შედეგები - მიმოხილვა

ირაპეტისკი. დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო შეჯიბრება ა. პოდუბნის სახელობის პრიზზე. საბჭოთა სპორტმენების გარდა კვარცხლბუქის უმაღლესი საფეხურზე ავიდნენ: აშშ-ს, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები. ჩემპიონები გახდნენ: (ს. შელდონი (აშშ), ა. შესტაკოვი (სსრ კავშირი), ვ. ლიასკოვსკი (პოლონეთი), ი. დუბუჩივი (სსრ კავშირი), ა. არვირე (რუმინეთი), ა. ალექსანინი, ს. დემიშკევიჩი (ორივე — სსრ კავშირი), ლ. დავიდი (ჩეხოსლოვაკია).

I ლიგა

4 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XII ტურის შეხვედრები.

„დინამო“ (ბათუმი) — „სპარტაკი“ (ორჯონიძე) 1:3 (0:0) ბათუმი. „დინამო“ სტადიონი. 4 ივნისი.

„დინამო“: კუცია, მგელიშვილი, ათუაშვილი, ღურდიაძე, კიკლაშვილი, ჭოხაძე, მ. მახარაძე, კაკლაშვილი, ბიგვაძე, უვანია, მიქაშვიძე (ზედაძე).

„სპარტაკი“: პერეკოკოვი, ყაჩმაზოვი (კორკინი), ფროლოვი, ლუკინი, სარსანია, კოხე, ძობლაძე, ფარასტაევი (მანდრაშვილი), გაზაევი (ლეხაძე), გაზდნოვი, ცხოვრებოვი. მსაჯე მ. ხტუბარი (ივანო-ფრანკოვსკი). გაფრთხილეს ყაჩმაზოვი.

პირველ ნახევარში დინამოელებს უპირატესობა ჰქონდათ, პირველი მხოლოდ საბოლოო კონტრშეტევაში პასუხობდნენ და მასპინძლებს შეხვედრამდე არაერთხელ შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები უზუსტო იყო. მეორე ნახევრის დასაწყისშივე სტუმრებმა ერთ-ერთი კონტრშეტევა 47-ე წუთზე ცხოვრებოვის

გოლით დაითავსა. ბათუმელები ამის შემდეგ თითქმის არ მოცილებიან სპარტაკელთა კარს. მიმდინარეობდა მე-60 წუთი, როცა ბიგვაძემ ზუსტად გადააწოდა უმეტესად დარჩენილ მიქაშვიძეს, ეს უკანაკენილი კი მიცვლევებმა აკრძალული ილეთი შეიანერეს. 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენა ჭოხაძემ — 1:1.

ბათუმელებს ამის შემდეგ შეეძლოთ დაწინაურებულები, მაგრამ მოხდა პირიქით, 70-ე წუთზე ისევ ცხოვრებოვმა გამოიჩინა თავი და ანგარიში ორამდე გაზარდა, მე-80 წუთზე კი შემცვლელად გამოსულმა კორკინამ წერტილი დაუთავა მატჩის შედეგს — 3:1.

შედეგები
(ტელეფონით „ლელოს“ ხაჯკორი).

წარმატებით ითამაშა ქუთაისის „ტორპედომ“, რომელმაც ტიუმენში ანგარიშით 3:1 დაამარცხა ადგილობრივი „ველოდო“.

ტურის სხვა შეხვედრები დაითავსდა ასეთი შედეგებით: „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 1:0, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, „კარაბაი“ (ალმათა) — ასკ (დონის როსტოვი) 2:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „კოტაიკი“ (აბოვანი) 2:0, „ფაგვი“ (ვორონეჟი) — „დალგავა“ (რიგა) 3:0, „როსტელმასი“ (დონის როსტოვი) — ასკ „კარაბაი“ (ლვოვი) 3:1.

„სულორი“ (ვანი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „ბახტრიონი“ (ანზერტი) 1:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ფეიკია“ (ხაშური) 1:2, „დინამო“ (ზუგდიდი) — „სამეგრელო“ (ჩხორიწყე) 3:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „სქური“ (წალენჯიხა) 0:4, „მადრევიანი“ (წყალტუბო) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:1.

II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIII ტურის შეხვედრები: „დილა“ (გორი) — „დინამო“ (სოხუმი) 0:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0, „შეგარდენი“ (თბილისი) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 1:1, „გოთაზანი“ (ყვანახი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 2:0, „დინამო“ (მხახყალა) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 0:0, „ტერმისტი“ (ბაქო) — „ლოკომოტივი“ (მინ.

იტალია-90

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის რამდენიმე შესარჩევი მატჩი. ინგლისელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს პოლონეთის გუნდი (ევროპის ზონის II საკვალიფიკაციო ჯგუფი), დამაჯარებელ გამარჯვება მიიღწიეს — 3:0 და განმტკიცეს ლიდერის პოზიცია. ევროპის ზონის VI ჯგუფში დუბლინში შედგა ირლანდიისა და

ტრაპეზია „სან სიროს“
იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის 31-ე ტურის მატჩის დროს მილანის ცნობილი „სან სიროს“ სტადიონზე ადგილობრივი „მილანისა“ და „რომის“ შორის, მოხდა უბედური შემთხვევა: ამ ორი კლუბის გულშემატიკრები წაეკი-

აკავშირო მანკერებებმა, ცხადია, „საშინაოც“ შეეს. ასე გაჩნდა ჯანსაღ ფეხებს მოკლებული რესპუბლიკური „ნაერები“ — თბილისის „დინამო“ და სათანადო თეორიებიც იმას შესახებ, რომ ჩვენს ქართველებს, თურმე ასრკ ჩემპიონატში (თუ გნებავთ არცთუ სრულფასოვანში) მონაწილეობის მისაღებად არ შეგვიძლია რამდენიმე გუნდს დაეკომპლექტოთ და ვარჩინოთ. საქამათია ახლაც ვაბატონებული ლოკატრინა იმის შესახებ, რომ თურმე საქართველოს ყველა გუნდის ვალია „გაუზარდოს“ თბილისის „დინამოს“ ვირტუოზები. განა ცხადზე ცხადი არ არის, რომ რაც უფრო მეტი იქნება ერთმანეთის მეტოქე ქართველი კლუბები, მით უფრო დიდია შანსი ერთი სუბერკლუბის განჩინა (შემდგომი გადაკომპლექტებით, რასაკვირველია).

მაგრამ მთელი უბედურებაც ის არის, რომ საქართველოს ჩემპიონატს არ ჰქონდა და არა აქვს არავითარი სპორტული სტიმული. გამარჯვებულის II ლიგაში გადასვლა არც მატერიალურად და არც სხვა პირობებით სასარბილო არ არის.

ამჟამად, დღესდღეობით ერთადერთი სპორტული სტიმული ევროპული ტურნირები გახლავთ. საქართველოს და ნებისმიერ სხვა რესპუბლიკის გუნდები კი ამ ტურნირებში მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონატში წარმატების შემთხვევაში მოხვდებიან... ხომ არ დადგადრო რეგისტრაციის ან, უფრო კულახილოდ ვთქვათ, რესპუბლიკური „ნორმალური“ ჩემპიონატის ლიდერები მივავლინოთ უფასო ტურნირებზე? ვითომ მილტისა ან ისლანდიის კლუბებზე წაკლებდითამაშებენ „რესპუბლიკელი“ ფეხბურთელები ევროპაში?

სტადიონებზე მაყურებელთა ფსიქოზიც ხომ წლების განმავლობაში დაგულებულ და საჭარბობის პირობებში გამოვითქოლი ერთგული ენერჯია! აბა გაიხსენოთ ბოლო მატჩები: „დი-ნამო“, „დი-ნამო“! შეცვალა „საქართველო“ „საქართველომ“! ბოლო პათასო მატჩზე კი ერთი დროშაც არ იყო თეთრ-ცისფერი. სამაგიეროდ უამრავი სამეფო ფრიალებდა.

ვიყოთ გულწრფელნი: უახლოეს წარსულში ერთგული მეობის გამოვლინის ლამის ერთადერთი საშუალებას სპორტი წარმოადგენდა. ახლა სხვა დროა და თუ ქვეყნის ჩემპიონატების გათამაშება აკლავ ძველებურად გაგრძელდა, თუ 30-50-იანი წლების ატმოსფერო არ მოისპო, ადვილი მოსალოდნელია

წყლები) 0:0, „ტექსტილშიკი“ (კამბინი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:1, „ზეზუდა“ (გოროდში) — ომც (თბილისი) 2:0, „ქიაფანი“ (კიროვანი) — „კოლხეთი“ (გოთი) 1:0, „ყარაბალი“ (აგდამი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ივნისისთვის

კლუბი	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომ.“ ს.	12	8	2	2	19	7
„დინამო“ ს.	10	8	1	1	23	17
„ტექსტილ.“	12	7	2	3	20	9
„კოლხ.“ ფ.	12	7	1	4	16	8
„ხაზარი“ ს.	11	6	3	2	19	10

„დილა“	12	6	3	3	15	13
„მეტალ.“	13	5	5	3	16	11
„ნარტი“	12	6	2	4	13	9
„გოთაზანი“	12	6	2	4	15	14
„ტორპედო“	11	6	1	4	15	13
„ყარაბალი“	10	5	1	4	9	13
„დინ.“ მან.	12	3	5	4	20	15
„ქიაფანი“	12	4	2	6	16	21
„კოლხ.“ ბ.	11	3	4	4	15	10
„ტერმისტი“	12	3	4	5	8	16
„ლოკ.“ მ. წყ.	12	2	5	5	13	16
„ხაზარი“ ლ.	12	4	0	8	7	20
„მერცხალი“	12	3	2	7	15	21
„ზეზუდა“	11	3	2	6	16	25
„ატომშენი“	10	3	1	6	12	17
„შეგარდ.“	11	2	2	7	10	19
ომც თბ.	13	2	1	10	15	31

შხალესი ლიგა

4 ივნისს დაიწყო სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XII ტურის შეხვედრები. მოსკოვის „სპარტაკმა“ ამ დღეს თავის მინდორზე მიიღო დუშინბენს „ბამირი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 6:2.

მარადონა რჩება „ნაპოლიში“

იტალიის ამ საფეხბურთო კლუბის გულშემატიკრები დააშინებინა დიეგო მარადონამ, რომელმაც განაცხადა, რომ კონტრაქტის დათავსებამდე, ე. ი. 1993 წლამდე, დარჩება „ნაპოლის“ შემადგენლობაში, ხმები იმის თაობაზე, რომ იგი საფრანგეთის „მარსელში“ გადადის, სიმართლეს არ შეეფერება.

„არსენალი“ ჩემპიონია

ფეხბურთში ინგლისის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ლონდონის „არსენალმა“, რომელმაც თავის მინდორზე გადამწყვეტი მატჩი ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ლოვერპული“.

საერთაშორისო პირველობა
გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XII ტურის შეხვედრები: პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მადაროელი“ (კიათურა) — 2:1, „მზიური“ (გალი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:0,

გაზაფხულზე კინორეჟისორ ალექსანდრე ძლანდის წარმოს, რომელიც პართულ ფეხბურთს ეხება. წინასწარ გეტყვით, რომ, ჩვენი აზრით, წარილი თავისი ზინაარსით იხებითა, სპაგამთოდ განაწყობს ფეხბურთის სპეციალისტებას და ვაღშემატიკრავს. მგზავს უთუოდ, მოგაგზავს იკოვოს. ცხადია, რამდენიმე მუშაპაგასაც გააგზავს ანგანთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრებათ, ოღონდ ამჟამად ვარჩიეთ სპაგასუფრ ნიძევა — წარმოს. ის კომენტარი — სპეციალისტებას და მრავალრიცხოვან ვაღშემატიკრებას მივანდობთ.

საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?

მეცნი. ბევრს ამ სათაურის წაკითხვაზე ელდა ეცემა და მიანიჭებს იმეტი სათქმელი მინდა გაუწყვთ, დრომ მოიტანა და ყველაფერი პირდაპირ უნდა ითქვას. დღეს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი კატასტროფის წინაშეა. ნუ მოვიტყუებთ თავს, თითქმის არაფერი ხდება. ეს ასე არ არის, ხოლო კვლავაც თუ ასე ვარბილდა, უარესიც მოხდება. მაგალითების მოყვანა ძნელი როდია: შექმნილ გარემოებათა გამო აზერბაიჯანია და სომხეთის გუნდების ურთიერთობა მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება სპორტულ ასპარეზობად ჩაითვალოს. „სპარტაკის“ ფანატებს, საკავშირო პრესის აღიარებით, იარაღისა და ბომბების ისეთი მარაგი ჩამოართვეს, შინაგან საქმეთა ჯარების დივიზიონა ეყოფოდა, მათი საბრძოლო ლოზუნგებიც შეარბებულების ლოზუნგებისგან არაფრით განსხვავდება. რაც ბევრგან სხვაგვანა შეიმჩნევა, ფეხბურთთან მან მეტად სუსტი კავშირი აქვს და ა. შ.

რა ხდება? რამ „გარდაქმნა“ ასეთასობით დადამანი სტადიონებზე, ემოციათა ამ ეპიცენტრში?

შორიდან დაიწყეთ. დაიწყეთ იმით, რომ როგორც ასეთი-სამბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში-არასოდეს ჩატარებულა. ტარდებოდა და ახლაც ტარდება რუსეთის ჩემპიონატი (ანუ რუსეთის ლია ჩემპიონატი), მოკავშირე რესპუბლიკების გუნდების რეგულ-

ორიბული რაოდენობით. ყველა ეს ჩემპიონატი შეძლებისდაგვარად პრიორიტეტს მოსკოვის გუნდებს ანიჭებდა, ბოლო ხანს კი ვივს რუსეთის „დინამოს“, თუმცა უმცირესი შანსის განჩინას „სპარტაკს“ ეძლევა „მწვანე“ შუქი.

სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატების „პარმონის“ დამრღვევი მხოლოდ საქართველო იყო. ჯერ იყო და ჩვენი პირველი გუნდი თავდაპირველად საერთოდ არ შეიტანეს დამფუძნებელი ჩემპიონატის სიაში, შემდეგი ჩემპიონატების და ტურნირების ისტორია კი მოკავშირე რესპუბლიკების გუნდებისა და, პირველი ყოვლისა, ჩვენი გუნდის თითქმის გაუთავებელი დისკრიმინაცია გახლდათ. მაგალითებს აქ ამ მოვიყვანო (ტომების შედეგა შეიძლება!). განა სასიამოვნოა, როდესაც ჩვენი უნიჭიერესი ფეხბურთელები სსრკ ნაკრებში თითქმის ყველგან რუს სპორტსმენებად იწოდებიან? ეს იმიტომ ხდება, რომ „არ არსებობს“ უცხოეთში არავისთვის საბჭოთა ნაკრები, არსებობს რუსეთის გუნდი.

იყო დრო, საქართველოს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამში წარმომადგენელიც არ ჰქონდა და ყველამ ვიცით, რომ აგრეთის ქვეყნების თასებში მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში საბჭოთა საფეხბურთო ფედერაციიდან არავინ ახლდა ჩვენებს სტუმრად ჩატარებულ მატჩებს.

უნგრეთის გუნდების შეხვედრა, გაიმარჯვეს ირლანდიელებმა — 2:0. ჯგუფში სადღესოდ ლიდერობს ესპანეთის გუნდი, რომელსაც 6 ტურის შემდეგ 10 ქულა აქვს. ირლანდიელებმა, ამდენივე მატჩი ჩატარეს და 8 ქულა დააგროვეს. შესაბამე ადგილებზე არიან უნგრელი ფეხბურთელები, რომლებმაც 5 ტურის შემდეგ 5 ქულა აქვეთ.

ალმოსავლეთ აზიის IV ჯგუფში ფრედ თამაშეს სინგაპურისა და მალაიზიის გუნდებმა — 2:2. აქ ლიდერობს სამხრეთ კორეის „ნაკრები“, რომელმაც ანგარიშით 4:0 მიუღო ნეპალის გუნდს.

ამავე ზონის VI ჯგუფში იაპონისა და კორეის სხაზობ-დემოკრატიული რესპუბლიკების გუნდების შეხვედრა დამთავრდა იაპონელთა გამარჯვებით — 2:1.

სტადიონზე

დენ ერთმანეთს, ტრიბუნებზე ატყდა დეზოში, ერთი კაცი ვარდაიცვალა, მრავალი დასახიროდა. „მილანმა“, რომელიც ამას წინავეროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა, ანგარიშით 4:1 დაამარცხა მეტოქე.

სტადიონების დაცარიელება. ან, რაც უარესია, „გადაღობოროთ“ სარბილად მისი გადაქცევა... ჯერჯერობით კი უარყო კოსმეტის გარდა არავითარი მოდერნიზაცია არ მოხდა: რუსულ „დ-ს ქართული“ თბილისიც! მიაწერეს დინამოელთა მისიურზე, ეს არის და ეს. სხვათა შორის, ეს ბილინგ-



ვა ცოტა ხნის წინ აღიარებული სოციალისტური რეალიზმის განსაზღვრის მოაგონებს კაცს: „ფორმით ერთგულს, შინაარსით კი სოციალისტულს“... უმთავრესიც ვახსენოთ — დიდი ხანია გვირდება ერთგული ნაკრები. ეს გუნდი კი ერთგული ჩემპიონატის გარეშე არ (და გერც) შეიქმნება! მხოლოდ ჩვენი ერის განსაკუთრებულ ნიჭიერებს უნდა ვუმაღლოდეთ საოცარ მასწავლებლებს 1956 და 1978 წლების სპარტაკო-დის ვიცე-ჩემპიონობას და 1981 წლის თასების თასს, მოპოვებულს ერთადერთი კლუბის ხარჯზე! და თუ ამ კლუბის კრიზისია, მეტი რომ არ ვთქვათ, ეს ბუნებრივია (პირიქით რომ მოხდებოდა, უფრო ააკვირველი იქნებოდა!) „დინამომ“, ეტყობა, თავისი მორალური (და სხვაგვარიც) პოტენციალი ამოწურა. ესეც არაა გასაკვირი, სხვა ქვეყნებს გადაეხედეთ: სალდა მრისხანი „ჩელი“, „ჩეპელი“, „კოლო-კოლო“! სამაგიეროდ სხვები ამოცენდნენ ერთგულ ნიადაგზე. იქნებ განსაზღვრული დროის შემდეგ „ყოფილებმა“ კვლავაც აღიდგინონ ძველი დიდება, მაგრამ არსად არ არსებობს მუდმივი მოქმედი ძლიერი კლუბი, არსებობს ერთგული ფეხბურთი.

ქართული ფეხბურთი რომ არ მოკვდებოდა, მაყურებლისა და საზოგადოების ინტერესების დეკლარაცია რომ არ მოხდეს, საქიროა „ბა-

დის“ შექმნა. „ერის საფეხბურთო ცხოვრება ხეილის ბილს წააგავს: ერთი ხე ნაყოფს ისხამს, მეორე ხმება და ამოძირკვავენ, მესამის ნერვს ახარებენ. თუ ასე არა აქვს აწყობილი საქმე გონიერ ძეგლებს და იგი ერთი, თუნდაც მხოლოდ და ნაშეყენი ჯიშის ხის ხარჯზე აპირებს ყოფნას, ადრე თუ გვიან უბადოდ დარჩება“.

ნუ დაივიწყებთ ბრაზილიელი აიმორე მორეირას ამ სიბრძნეს! მე ამას ის მინდა დავუმატო, რომ კარგ ხეხილს მებადე მხოლოდ საკულთო ბაღში მოიყვანს.

ნუ ვიქმნებთ გულშემატიკრები: ერთგული პროცესი სპორტში საყოველთაო კანონზომიერებაა (ზნირად ისინი პოლიტიკურ პროცესებსაც უსწრებენ წინ), რომელი ერთი მაგალითი მოვიყვანო: ბასკეთი და კატალონია, უელსი და შოტლანდია, ჩეხია და მორავია, ევლონია და პოლანდია და უამრავი სხვა. სპორტის თავიპი ეთნიკური საზღვრები აქვს. ეს შესანიშნავი იცაა — ერთი მეტოქეობა სპორტულ ასპარეზზე, ხშირად აღმინისტრაციული დაყოფის ერთგვარ კორექტირებას ახდენს.

სულ ახლო მომავალში ბევრი გარდაქმნა მოსალოდნელი. მოდით, სპორტსაც ნუ ჩამოვამორებთ ამ პროცესს. უკუვიადოთ „ტრაქტორების“ და „სტალინელები“ ეპოქა და თუ დღეს მთელი სერიაზულობით მაჭეობენ საქართველოს სრულ თვითდაფინანსებაზე და ქართველი ჰაბულებს მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს ტერიტორიაზე გავლია თათბარზე, ასევე შეგვიძლია ვიმსჯელოთ და შევქმნათ კიდევ საკუთარი სუვერენული საფეხბურთო სამყარო, რომელშიც, ექვი არ მეპარება, უნიჭიერები სპორტსმენები აღიზრდებიან.

აი, საქართველოს ასეთ პირველობის პირობებში. გამოჩნდებიან საერთაშორისო ასპარეზზე ფეხბურთის ოსტატები და არა დღევანდელი საკავშირო თუ რესპუბლიკური უბადლოები „გათამაშების“ შედეგად. ჩვენს მომე ერთბთან კი შეიძლება უთუოდ უფრო დახვეწილად და დემოკრატიულ ფორმებს გამოვანახოთ.

ჩემი წერილი იმჟამადვეა, გარკვეული რეზონანს გამოიწვევს, რისი დიდი სურვილი მაქვს: დროა უძრობობა ხანის „შეგებრების“ ჯამის დავალოთ თავი და ეს, ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ სიკეთეს მოიტანს.

ალექსანდრე ძლანდი.
კინორეჟისორი.

